პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ოქტომბერი, სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 245 (14849)

საბჭოთა კავშირის მშრომელნო! ღირსეულად შევხვდეთ კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას! უფრო მაღლა ასწიეთ წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

პარტიის მოწოდებელი სიტყვა

ПРАВДА

19 ოქტომბრის მოწინავე

ბუშინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის. როგორც ყოველთვის სახელოვანი დღესასწაულის წინ, ჩვენი ლენინური პარტიის სიტყვა მოედო მთელ საბჭოთა ქვეყანას, მთელ პლანეტას, მილიონობით ადამიანს აღაფრთოვანებს რა მარქსიზმ-ლენინიზმის — იმ მარად ცოცხალი ინტერნაციონალური მოძღვრების ნათელი იდეებით, რომლის დროშით ყველა ქვეყნის მშრომელნი იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხისათვის ახლანდელი დღესასწაული განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია: იგი აღინიშნება ლენინის იუბილეს წელს, ხუთწლედის ფინიშზე, სკკპ XXIV ყრილობის წინ. კომუნიზმის სახელოვანი მშენებელი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მამაცი მებრძოლი, ჩვენი ხალხი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით გულდაჯერებით მიდის წინ ოქტომბრის გზით. მტკიცდება და ვითარდება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. იბრძვიან რა ლენინს უკვდავი ანდერძის განხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო, რომლის პოლიტიკას ხავსებით და განუყოფლად უჭერს მხარს მთელი ხალხი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ახლა მასების შემოქმედებითი აქტივობის მძლავრ ალმავლობაში, მომავალი პარტიული ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების საყოველთაო-სახალხო გაქანებაში. და ყოველი ადამიანის გულში პოლობს მხურვალე გამოხმაურებას მოწოდებათა მგზნებარე სიტყვები: „საბჭოთა კავშირის მშრომელნო! ღირსეულად შევხვდეთ კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას! უფრო მაღლა ასწიეთ წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!“

ემზადება რა ოქტომბრის დღესასწაულისათვის, ჩვენი ხალხი ახალ წარმატებებს აღწევს კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. კარგი ამბები მოდის ამ დღეებში ქარხნებიდან და მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებიდან, სამეცნიერო ინსტიტუტებიდან და ჯარის ნაწილებიდან — ყოველი მხრიდან, სადაც დამკვრელურ ვახტზე დგანან საბჭოთა პატრიოტები. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა პირნათლად დავამთავროთ ხუთწლედის შესრულება, განვახორციელოთ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ასრულებს რა ლენინის მითითებას, რომ დიადი რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო წესი — ეს არის მთელი ყურადღება მივაპყროთ გადაუწყვეტელ ამოცანებს, პარტია საოქტომბრო მოწოდებებში მგზნებარე სიტყვით მიმართავს ქვეყნის შრომელთა თვითეულ რაზმს.

ჩვენი ეკონომიური მშენებლობის მთავარი ამოცანა თანამედროვე პირობებში ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, მისი ინტენსიფიკაცია დაჩქარებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ საგეგმო დავალებანი შევასრულოთ შრომითი და მატერიალური რესურსების უმცირესი დანახარჯებით, უკეთ გამოვიყენოთ მოწყობილობა, მტკიცედ დავიცვათ მომზრინეობის რეჟიმი, განუხრელად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, უფრო სწრაფად დავნერგოთ პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. სოციალისტური ინდუსტრიის მუშაკთა მოვალეობა ის არის, რომ უფრო სრულად გაანალდონ პროდუქციის და მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების გადიდების შესაძლებლობანი, გაუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება. სოფლის მშრომელებმა მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით უფრო აქტიურად უნდა შეასრულონ სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და კომპლექსური მექანიზაციის, მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის დახასული პროგრამა, რათა ქვეყანას მეტი მისცენ იაფი პროდუქტები. პარტია საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებს იბრძოლონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, ბეჯითად დაეუფლონ მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიურ ცოდნას, განამტკიცონ დისციპლინა და ორგანიზებულობა. ამ საარსებო ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც შეეხებამება ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების ინტერესებს, ბეჯერად არის დამოკიდებული პარტიულ ორგანიზაციებზე, თვითეულ კომუნისტზე. ყველა პარტიელის საპატიო მოვალეობა ის არის, რომ უჩვენონ მაგალითი შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყონ მასების ნამდვილი ორგანიზატორები და აღმზრდელნი წარმოების მაღალი ეფექტიანობისათვის, რეზერვების გამოყენებისათვის, სახალხო მეურნეობაში მომზერნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლაში.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას, მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ზრდას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. დიდმა ოქტომბერმა დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა. მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდი არიან კომუნისტური და მუშათა პარტიები. მსოფლიოს კომუნისტები განამტკიცებენ თავიანთ ერთიანობასა და შეკავშირებას. ჩვენს თვალწინ ვითარდება და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა — გადამწყვეტი ძალა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. ახალ გამანადგურებელ ლახვარს სცემს მონოპოლისტური კაპიტალის ბასტიონებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი. ფართო გაჯანება მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული ჩვენი პარტია მიესალმება კლასობრივ ძმებს და სოციალისტურ სახელმწიფოების ხალხებს, კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებსა და მთელ დემოკრატიულ ძალებს, განთავისუფლებულ და ჩაგრულ ხალხებს მოუწოდებს გაერთიანდნენ საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ოქტომბრით შობილი საბჭოების ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯია. საბჭოთა ადამიანები ძმურად უჭერენ მხარს ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის ინტერვენციის წინააღმდეგ და მშობლიურ პარტიასთან ერთად გულისწყრომით აცხადებენ: „ხელები შორს ინდოჩინეთისაგან!“ ჩვენ მოვითხოვთ ისრაელის აგრესიის შეწყვეტას ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. საბჭოთა კავშირი ბეჯითად იბრძვის იმისათვის, რომ ევროპა გადაიქცეს მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის კონტინენტად. სწორედ ეს არის ჩვენი ლენინური საგარეო პოლიტიკა მოქმედებაში — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის უცვლელი პოლიტიკა.

ოქტომბრის 53-ე წლისთავის წინ საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით შეადუღრებს მომავალს. დიადი რევოლუციით დაწყებული საქმე იმარჯვებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, ძალღონით აღსავსენი, ახალი მიღწევებისათვის მზადმყოფნი, იმეორებენ საბრძოლო მოწოდების სიტყვებს: „მარქსიზმ ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!



შეინთვის, ჩემო საშშობლო!



ბევრი ორიგინალური რაციონალიზატორული წინადადებაა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი საამქროს უბნის უფროსის ანზორ ჩიხლაძის ანგარიშზე. მარტო წელს მის მიერ შეტანილი ხუთი რაციონალიზატორული წინადადებიდან სამი უკვე დანერგილია წარმოებაში.

სურათზე: ანზორ ჩიხლაძე.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲥᲕᲘᲠᲕᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა შეასრულა ძვირფასი ლითონის გამოშვების ცხრა თვის დავალება და ოქტომბერში ახალი ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ დიდ ოქტომბერს.

შრომითს ვახტზე დგანან და ზეიგმითს შენადნობებს იძლევიან მდნობელთა ბრიგადები, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბელაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ბოცხრიკაძე, კომუნისტური შრომის დამკვრელები ვ. კაპანაძე, გ. თაბერიძე, ი. ალმკამაძე, ნ. ბოგვერაძე, გ. ნანიტაშვილი, ლ. გიორგაძე უძღვებიან.

361 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ

წულუკიძე. (საკ. კორ.). სინთეზური მასალების ნაკეთობათა ქარხნის პროდუქცია — პოლიეთილენისა და პოლიქლორვინილის ფირები ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში იგზავნება და უველგან დიდი მოწონებით სარგებლობს. წულუკიძელი ქიმიკოსები ფირებისაგან ადგილზე ამზადებენ ავტოფეი მაგიდის მხატვრულად შესრულებულ საფარებს, ხილ-ბოსტნეულის ბანგრძლივად შესანახ უთუებს, მინერალური სასუქებისა და შაბიამნის შესაფუთავ ტომრებს.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ურეკლამაციოდ მუშაობს, ცხრა თვეში დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა და 36 ათასი მანეთით გადაამტა რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას.

განვლილ პერიოდში ქარხანამ მნიშვნელოვნად შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და 361 ათასი მანეთი მოგება მიიღო, რითაც გადამეტებით შეასრულა მოგების წლიური გეგმა.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲗ

სასახელო მაჩვენებლებით ხვდება ოქტომბრის დღესასწაულს ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველო (უფროსი დ. მეტრეველი). ბარიტის კონცენტრატის გამოშვების ცხრა თვის დავალება სამმართველოს კოლექტივმა 101 პროცენტით შეასრულა. მრეწველობამ მიიღო 400 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია. წარმატებით შესრულდა რეალიზაციის გეგმაც.

სამმართველოში ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ბარიტის გამამდიდრებელ ფაბრიკაში წინათ დამლიქ მანქანებზე მადნის მიწოდება ხელით, პრიმიტიულად ხდებოდა, რაც ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას, აფერხებდა ბარიტის გამდიდრების ტექნოლოგიურ პროცესს. ახლა განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე — დამონტაჟდა ელექტროვიბრაციული ავტომატური მკვებავები, რამაც ბევრად დააჩქარა ტექნოლოგიური პროცესი. (საკ. კორ.).

ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲗ

ახმეტის ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების სახელი დიდიხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ქარხნის (დირექტორი ა. ყურაშიძე) პროდუქცია იგზავნება ინგლისისა და საფრანგეთის ქალაქებში. უცხოელებმა განსაკუთრებით მოიწონეს აქ დამზადებული კაკლის მურაბა და მასზე დიდ მოთხოვნილებას აყენებენ.

ხეზონის დაწყებიდან ქარხანამ გამოუშვა და მომმზარებელს მიაწოდა სხვადასხვა სახის 2 მილიონ 356 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, რაც გეგმას 436 ათასი ქილით აღემატება. მოგების გეგმას ქარხანამ 10 ათასი მანეთით გადააჭარბა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით აამაღლა.

წელს ქარხანამ მომზმარებელს უნდა მიაწოდოს 3,5 მილიონი ქილა კონსერვი.

საოქტომბროდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კონსერვებისა და ნატურალური წვენების საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ზ. მეოტიშვილი და კ. ხაჭვარელიძე ხელმძღვანელობენ.

(საკ. კორ.).

ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ქუთაისი. (საკ. კორ.). მწყობრში ჩადგა ახალი ქიმიური სამძლავრე — ბარიტის კრანულირების საამქრო, რომელიც ქუთაისის ლითოფონის ქარხანასთან აიგო.

ბარიტის კრანულირების საამქრო, რომლის საწარმოო კამოკდამ წარმატებით ჩაიარა, ათასობით ტონა პროდუქციას გამოუშვებს.

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲡᲝᲛᲐᲚᲘᲨᲘ

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს მიწვევით 19 ოქტომბერს მოსკოვიდან მოგადიშოში გაფრინდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. დ. ხ. პოლიანსკი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს სომალის რევოლუციის პირველი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში. (ხაკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲐᲚᲘᲨᲘ

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. (ხაკდესი). დღეს პრაღაში გაემგზავრა საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან აკადემიკოსები ნ. ბ. ბასოვი, ბ. ა. ანდრიანოვი, ნ. ნ. ინოზემცევი და სხვა თვალსაჩინო მეცნიერები.

დელეგაციის წევრებს განზრახული აქვთ კოლეგებთან ერთად განიხილონ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიებს შორის 1971-1972 წლების მეცნიერული თანამშრომლობის საკითხები და დასასრულ კვლევის ძირითადი მიმართულებანი 1976 წლამდე.

ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲒᲐ ᲛᲐᲒᲓᲔᲑᲣᲠᲒᲨᲘ

ბერლინი, 19 ოქტომბერი, (საკდესი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მაღალი საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა, რაც მათ ცხადყვეს „თანამებრძოლთა ძმობის“ წვრთნის დროს, იმ კოორდინირებულ ღონისძიებათა შედეგია, რომელთაც მომზე სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ თავდაცვის განსამტკიცებლად ვარშავის ხელშეკრულების არსებობის 15 წლის მანძილზე. ეს ავრეთვე იმის შედეგია, რომ მომზე მარქსისტულ-ლენინური პარტიები მიზანსწრაფულად ხელმძღვანელობენ გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოთქვა მაგდებურგში წვრთნის დამთავრებასთან დაკავშირებით გამართულ დარბაზობაზე.

დარბაზობაზე იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო ხელმძღვანელი მოღვაწეები, სოციალისტური ქვეყნების სამხედრო დელეგაციათა მეთაურები და წევრები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲝ-ᲠᲐᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ-70

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალურ მოედანზე აღმართულია ალმები 30 ქვეყნისა, რომლებიც მონაწილეობენ სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატისა და საქართველოს სავაჭრო პალატის ხელშეწყობით ორგანიზებულ საერთაშორისო სპეციალიზებულ გამოფენაში „რენტგენორადიოლოგია-70“. გამოფენა 19 ოქტომბერს გაიხსნა. იგი ეძღვნება რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა მე-9 სრულიად საკავშირო ყრილობას, რომელიც მუშაობა 20 ოქტომბერს იწყება.

გამოფენის მიზანია უჩვენოს უახლესი მიღწევები რენტგენორადიოლოგიური აპარატურის კონსტრუიერებისა და წარმოების დარგში, უზრუნველყოს სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილების გაზიარება ამ მიმართულებით, ხელი შეუწყოს საბჭოთა და უცხოთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს სავაჭრო კავშირურთიერთობის გაფართოებაში.

ექსპოზიციის ოფიციალურ გახსნას ესწრებოდნენ რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გამოფენის მონაწილე უცხოელი სტუმრები. გამოფენა გახსნა საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ **რ. ელიგულაშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ ეს გამოფენა ემსახურება ჰუმანურ მიზნებს, ადამიანის ჯანმრთელობის ინტერესებს.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: სსრ კავშირის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **გ. ზედგენიძემ,** სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ი. პრიბოდოვმა** და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ **ზ. კახიანმა.**

ექსპოზიცია განლაგებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ორ ვრცელ პავილიონში. რენტგენოდიაგნოსტიკის, რადიოთერაპიისა და რადიოლოგიის — ატომგრეულის მედიცინის, კლინიკური დოზიმეტრიისა და გამოსათვლელი მანქანების ჯგუფოფილებებში უჩვენებენ უახლეს ტექნიკის ინვარიათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, უიგოსლავია, ავსტრია, ინგლისი, ჰოლანდია, იტალია, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დასავლეთი ბერლინი, შვეიცარია, იაპონია.

19 ოქტომბერს გამოფენა დაათვალიერეს **მ. გოგიჩაიშვილმა, ნ. ცხაკაიამ, შ. კიკნაძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. სირაძემ.** ახსნა-განმარტებას იძლეოდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის განყოფილების გამგე **რ. გაბუნია.**

(საქდესი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

15-დან 18 ოქტომბრამდე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ამერიკელ ქალთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მოწვევით.

ამერიკის ერთ-ერთი გავლენიანი ქალთა ორგანიზაციის — „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ ლიდერები ემილ სმერდლოვი და მარი კლარმ საქართველოში ესტუმრნენ საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკურ საბჭოს.

16 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ მიიღო ამერიკელ ქალთა დელეგაცია. ვ. სირაძემ უამბო სტუმრებს რესპუბლიკის შესანიშნავ მიღწევებზე, იმაზე, თუ რა დიდი წვლილი შეიტანეს ქალებს თვითანი შრომით ამ მიღწევებში.

შემდეგ სტუმრები გაეცნენ ქალაქისა და რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, დათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ეწვივნენ საკონდიტრო კომბინატ „ბზიურს“, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, № 1 საბავშვო ბაღს.

ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო მოღვაწეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლი — ჯვრის მონასტერი.

საინტერესო და შინაარსიანი იყო ენი ხელოვნებისა და მერი კლარკის შეხვედრა თბილისის ინტელიგენციასთან, რაც მხატვარ ეკატერინე ბაღდავაძის სახელოსნოში მოეწყო.

— ჩვენ ვეწვიეთ საქართველოს, რათა თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით, თუ რა მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებამ ქალს 50 წლის განმავლობაში, — თქვა მერი კლარკმა. — ეს მიღწევები ჭეშმარიტად ჯრანდიოზულია. საბჭოთა ქალი თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი მატონ-პატრონია, მამაკაცის თანასწორია.

18 ოქტომბერს ამერიკელი სტუმრები მოსკოვში გაფრინდნენ. (საქდესი).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲖᲔᲖᲣᲡᲢᲘ ᲩᲐᲠᲮᲔᲑᲘ

კიროვაკანის ბრეციზიული ჩარხების ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა მეათასე ავტოგადატ. კიროვაკანის ჩარხები გამოირჩევა სიზუსტის უმაღლესი კლასით დეტალების დამუშავების დროს, საიმედოობით, თავისი კონსტრუქციული და საექსპლოატაციო თვისებებით ისინი არ ჩამოუვარდებიან საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს. მათ არაერთხელ მიენიჭათ ოქროს და ვერცხლის მედლები სრულიად საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე.

საწარმოს კოლექტივმა, რომელიც დადგა სკკპ XXIV ყრილობის და საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავის შრომითს ვახტზე, ვალდებულება იკისრა ხუთწლიანე გეგმა შეასრულოს 29 ნოემბრისათვის.

(საკდესის კორ.).

კიროვაკანი.

ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲮᲩᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

რუსთავი, 16 ოქტომბერი. (საკდესის კორ. ი. გერაშჩენკოვი). ელექტროჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო ბახჩიკეთის ალუმინის ქარხანაში, რომელიც ბისარის ხეობაში იქმნება.

ფერადი მეტალურგიის საწარმო გამოიყენებს ამ მთიანი მხარის შრომით რესურსებსა და ბუნებრივ სიმდიდრეებს. ქარხანა გამოიყენებს მდინარე ვახშუმენებარე ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐᲜ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ

I. ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲐᲚᲛᲬᲠᲗᲔᲚᲝ და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონის ამაღლება, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკული მეცადინეობის სრულყოფა, შევნებული დისციპლინის განმტკიცება. სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით — აი რაში ხედავენ თავიანთი მოღვაწეობის მიზანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი.

უნივერსიტეტის XXIII პარტიულმა კონფერენციამ ერთხელ კიდევ დადასტურა, თუ რა მრავალფეროვან და დაუცხრომელ საქმიანობას ეწევიან მეცნიერების ამ ტაძარში აღნიშნულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

18 ფაკულტეტსა და 100-ზე მეტ კათედრაზე სწავლობს და მეცნიერულ წრთობას გადის 16 ათასი სტუდენტი. უნივერსიტეტის კედლებში მუშაობს 3.200 თანამშრომელი. ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება 1.277 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთა შორისაც 200-ზე მეტი პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 600-მდე დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი. უნივერსიტეტთან არსებობს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი და 7 სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია 600-ზე მეტი თანამშრომლით.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო ამაღლდა უნივერსიტეტის, როგორც საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრის როლი. უნივერსიტეტის დიდ აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი შეუვნილია საბჭოთა კავშირის იმ ოცდაოთხი უმაღლესი სასწავლებლის რიცხვში, რომლებიც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეცნიერულ პრობლემებს წყვეტენ.

ღღითიდღე იზრდება და ფართოვდება საქმიანი კონტაქტები უცხოეთის სახელმწიფოთა სამეცნიერო წრეებთან. უნივერსიტეტის მეცნიერული სკოლებისა და მიმართულებების მრავალ წარმომადგენელს იწვევენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წასაკითხავად, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კოლოკვიუმებში მონაწილეობის მისაღებად.

დიდია უცხოელ მეცნიერთა ინტერესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილი სიმპოზიუმებისა და კონფერენციებისადმი. მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა სხვადასხვა ქვეყნის 516 წარმომადგენელი.

პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც მისი მდივანი დ. ჯიქია გამოვიდა, და კონფერენციის დელეგატთა გამოსვლებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფაკულტეტების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლას სტუდენტთა და ასპირანტთა აკადემიური წარმატების ამაღლებლად, დისციპლინის განსამტკიცებლად, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათ აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში იკლო სტუდენტთა მიერ ლექციათა-სემინარების უმიზეზოდ გაცდენამ, შემცირდა შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევები. პარტიულ კომიტეტთან შექმნილ დისციპლინის კომისიას სისტემატური კონტროლი ჰქონდა დაწესებული და ყურადღების ცენტრში პყავდა სტუდენტი ახალგაზრდობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არღვევს დისციპლინას და საზოგადოებრივ წესრიგს, სისტემატურად აცდენს ლექციებს.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მუდმივ ყურადღებას არ აქცევენ დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, ხშირად გულგრილობას იჩენენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისადმი.

ზოგიერთი მასწავლებელი ჯეროვნად არ ოფასებს ლექციათ-სემინარებზე სტუდენტთა გამოცდების აღრიცხვის მნიშვნელობას აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის ამაღლების საქმეში. ამ მიმართებით მოიხსენებს პარტიული ბიუროებისა და დეკანატების კონტროლი. არის ისეთი შემთხვევები, როცა ლექციათ-სემინარებს აკადემიური ჯგუფის ან კურსის სტუდენტთა თითქმის ნახევარი აცდენს.

ფაკულტეტების პარტიული ბიუროები და დეკანატები ჯეროვნად არ აფასებენ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა შრომითს საქმიანობაში ჩაბმის საკითხს. დაუსწრებელი განყოფილების ბევრი სტუდენტი ან სრულიად არ მუშაობს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სესიების დაწყების წინ იწყებს საქმიანობას, ხოლო საპირო ცნობის აღების შემდეგ კვლავ თავს ანებებს სამუშაოს. ასეთ ვითარებაში დაუსწრებელი სწავლების თვით მიზანდასახულობაც კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს.

კონფერენციის დელეგატებმა — ფილოსოფიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა მ. ნემსაძემ, პრორექტორმა სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების დარგში ნ. ლომოურმა, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა, კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა მ. გაგუამ და სხვებმა მოითხოვეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შემდგომი სრულყოფა, ნაყოფიერი სწავლებისათვის აუცილებელი წანამძღვრების შექმნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20-ზე მეტი ეროვნების ახალგაზრდობა სწავლობს. ასევე მრავალფეროვანია პროფესორ-მასწავლებელთა და ასპირანტთა შემადგენლობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას. ამ მიმართებით მოწყობილ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლექციათ-მოხსენებებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, მხატვრულ თვითმოქმედებასა და ფიზკულტურულ ღონისძიებებს, უნივერსიტეტსა და სტუდენტთა ქალაქში ინტერნაციონალური საღამოების მოწყობას.

ინტერნაციონალური ურთიერთგაგებისა და ხალხთა შორის ძმური მეგობრობის ნათელი გამოვლინება იყო ლენინგრადის უნივერსიტეტის საიუბილეო დღეების მოწყობა თბილისის უნივერსიტეტში. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის თვალსაზრისით სერიოზული მუშაობას ეწევა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი". იგი სისტემატურად ბეჭდავს წერილებს უნივერსიტეტში მოსწავლე სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა და ასპირანტთა შესახებ. აშუქებს ჩვენი ქვეყნის სხვა უნივერსიტეტების სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის გამოცდილებას. გაზეთმა სპეციალური ნომერი მიუძღვნა ლენინგრადის უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებს.

პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ორგანიზაციულ-პარტიულ, იდეოლოგიურ, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის და სხვა საკითხებს.

კონფერენციის მონაწილენი შეეხნენ ხარვეზებს უნივერსიტეტის იდეოლოგიური და მეცნიერული მუშაობის ისეთ ფრონტზე, როგორიც არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება. დღის განყოფილების 8.425 სტუდენტიდან მარტო ერთ სემესტრში საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოცდებზე არ გამოცხადდა 592 კაცი, ხოლო არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 802 კაცმა; სადამოს სწავლების განყოფილებაზე კი ამ საგნებში აკადემიური წარმატება 80 პროცენტს უდრის. ეს მონაცემი მართალია გასულ წელს არსებულ მდგომარეობაზე უკეთესია, მაგრამ მაინც დამაფიქრებელია.

მოხსენებიან ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ავტორიტეტიანი ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა, მასწავლებელმა ბ. სოხვაძემ, დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტის. დეკანმა დოც. ი. ბაკრაძემ, გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარემ დოც. გ. უაკეიშვილმა, პროფესორმა მ. მირიანაშვილმა, ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. შ. მესხიამ, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ქისტაურმა.

უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ ილაპარაკა სამეცნიერო და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ნაკლოვანებებზე. მან კონფერენციის დელეგატთა ყურადღება გაამახვილა ასპირანტთა მომზადების, სტუდენტთა სწავლების მეთოდებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გამოცემის საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი აკად. გ. ჯიბლაძე შეეხო სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადასინჯვისა და საასპირანტო სწავლების ვადის გაგრძელების საჭიროებას, იგი შეჩერდა ლექციების ხარისხის ამაღლების მნიშვნელობაზე სტუდენტთა აკადემიური წარმატებისა და ლექციათ-სემინარებზე მათი დასწრების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მან დააყენა საკითხი უველა სპეციალობის სტუდენტებისათვის საქართველოს ისტორიის სწავლების საჭიროების შესახებ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შეკარდნაძემ. სიტყვით გამოვიდა პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი კ. ცქიტიშვილი.

კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, აირჩია მისი ახალი შემადგენლობა და რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები.

უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნად კვლავ არჩეულ იქნა დ. ჯიქია.

ზ. ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ,
კონფერენციის დელეგატი, პროფესორი.

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐᲜ

დემოკრატიული ცენტრალიზმი სოციალისტური სახელმწიფოს აგების ორგანიზაციული პრინციპია. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ჩვენში მშრომელთა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ, რომლებსაც მოსახლეობა ირჩევს ორი წლის ვადით. საბჭოები იღებენ გადაწყვეტილებებს და იძლევიან განკარგულებებს იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით. ისინი მშრომელთა მასებს რაზმავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის, უზრუნველყოფენ მათ ფართო მონაწილეობას ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ზრუნავენ მშრომელთა მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

ამ მხრივ კარგი მაგალითებია ადიგენის რაიონში. სასოფლო სადამო საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომის ხელმძღვანელობით წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის მრავალ საკითხს.

ყველა სასოფლო და სადამო საბჭოებში დაცულია სესიების მოწვევის საკონსტიტუციო ვადები, რეგულარულად იმართება აღმასკომის სხდომები. საკითხებს ამზადებენ წინასწარ შედგენილი და აღმასკომის სხდომებზე დამტკიცებული გეგმების მიხედვით. ყველა საბჭოს აღმასკომს აქვს კვარტალური სამუშაო გეგმები, რომლებიც შედგება 3 ნაწილისაგან: სესიები, აღმასკომის სხდომები და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. ყოველთვის დღის წესრიგის საკითხებს მომზადებაში ფართოდ არის ჩაბმული მუდმივი კომისიები, დეპუტატები და საზოგადოება.

საქმის ცოდნით, მაღალ იდეურ დონეზე და კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით ტარდება სესიები ბოლოქაურის, ვარხნის, სმადის სასოფლო და ადიგენისა და აბასთუმნის სადამო საბჭოებში, სადაც პერიოდულად ხდება სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

სესიებზე წარმოებს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე კულტურის, განათლების, კეთილმოწყობის, გზების მშენებლობის, კავშირგაბმულობისა და სხვა საკითხების განხილვა. სესიების ჩატარების დრო და დღის წესრიგის საკითხები 3-4 დღით ადრე ეცნობებათ დეპუტატებს. პრაქტიკაში დანერგილია სესიების დაწყებამდე აღმასკომის თავმჯდომარის ინფორმაციის მოსმენა წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა ხდება სპეციალურ ჟურნალებში არსებული წესის მიხედვით. როგორც წესი, დეპუტატები წელიწადში ორჯერ ანგარიშებს თავიანთ ამომრჩევლებს საარჩევნო ოლქების მიხედვით. სასოფლო, სადამო საბჭოების დეპუტატთა თაოსნობითა და მოსახლეობის მხარდაჭერით სოფელ უდის ცენტრალურ გზებზე ვაკეთდა ორი ხიდი და ორი ბოგირი, მდ. ქვაბელიანზე აშენდა ბეტონის ახალი ხიდი სოფელ არაღაში.

მრავალია მაგალითი, თუ რამდენ დიდი ინიციატივის გამოჩენა, რაოდენ დიდი ძალის გამოყენება შეიძლება მაშინ, როცა დეპუტატი ამომრჩეველთა ხშირი სტუმარია, როცა იგი მასების სათაგეში უდგას და პირადი მაგალითით ამხნევებს მათ, მოუწოდებს დიდი და კეთილშობილური საქმეებისაკენ მშობლიური კუთხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

დეპუტატთა თაოსნობითა და მოსახლეობის მხარდაჭერით სოფელ უდის ცენტრალურ გზებზე ვაკეთდა ორი ხიდი და ორი ბოგირი, მდ. ქვაბელიანზე აშენდა ბეტონის ახალი ხიდი სოფელ არაღაში.

ხასოფლო, სადამო საბჭოებს აღმასკომები ანაწილებენ როგორც ხასხლებს ინდივიდუალური პირადი მშენებლობისათვის, ისე საზოგადოებრივ მასალებს. საბჭოები ამორიგებენ კონტროლს მიწის საკარმიდამო ფონდის სწორად გამოყენების უზრუნველსაყოფად და საკარმიდამო ნორმების დასაცავად.

მშრომელთა განცხადებების მიღება, აღრიცხვა და განხილვა სასოფლო და სადამო საბჭოებში წარმოებს ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 12 აპრილის გრძანებულების შესაბამისად. როგორც კანონი, განცხადებები ტარდება რეგისტრაციაში, განიხილავენ და მტკიცედ იცავენ დეპუტატების მორიგეობას საარჩევნო ოლქის მიხედვით, როცა დეპუტატი იღებს ამომრჩეველებს და აძლევს განმარტებებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. დეპუტატი მორიგეობს სადეპუტატო ოთახში, ან საბჭოში, ან უახლოეს დაწესებულებაში, დაწესებული გრაფიკის მიხედვით, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში შექმნილია მუდმივი კომისიები: სამანდატო, საბიუჯეტო, საფინანსო, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და კულტურის. გარდა ამისა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამატებით შექმნილია სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური საწარმოო გეგმების განხილვაში. ამასთან დაწესებული აქვთ კონტროლი გეგმების შესრულებაზე, პერიოდულად განიხილავენ საკითხებს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე როგორც საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაწესებული გეგმების შესრულებაზე.

სასოფლო, სადამო საბჭოებს აღმასკომები ანაწილებენ როგორც ხასხლებს ინდივიდუალური პირადი მშენებლობისათვის, ისე საზოგადოებრივ მასალებს. საბჭოები ამორიგებენ კონტროლს მიწის საკარმიდამო ფონდის სწორად გამოყენების უზრუნველსაყოფად და საკარმიდამო ნორმების დასაცავად.

მშრომელთა განცხადებების მიღება, აღრიცხვა და განხილვა სასოფლო და სადამო საბჭოებში წარმოებს ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 12 აპრილის გრძანებულების შესაბამისად. როგორც კანონი, განცხადებები ტარ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბის შესახებ და მიაღწიეს კიდეც მიზანს.

ასეთია ეროვნული ბიბლიოთეკის საფოსტო-სავალდებულო 8-ეროვნული ... 7-15 ... ...

ერთიან მწყობრში შრომის სადარაჯოზე

„თანამებრძოლთა ძმობის“ წვრთნის დამთავრებისადმი მიძღვნილი კარადი მაგდებურგში

სადღესასწაულო, დაუვიწყარი გახდა ეს დღე მაგდებურგის მცხოვრებთათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა სახელით, სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხის სახელით ისინი 18 ოქტომბერს მიესალმნენ თავიანთ მამაც დამცველებს — „თანამებრძოლთა ძმობის“ წვრთნის მონაწილეებს.

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე შეიკრიბა ათასობით მაგდებურგელი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმარი. აქ ბევრი ბავშვია. ალმებით ხელში ისინი გაზაფხულის ყვავილებივით მოჩანან ჯარისკაცთა მწკრივების ფონზე.

შვიდ მოძმე არმიის წარმომადგენლებმა მოედნის შუაგულში გამოიტანეს ცისფერი დროშა წვრთნის ემბლემით — შვიდმიმიანი ვარსკვლავით, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოებისა და არმიების ურთვევი მეგობრობის სულისკვეთებით, ცხადყო, რომ განუხრელად მტკიცდება თანამებრძოლთა სოციალისტური ძმობა. ეჭვიც არ არის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური ქვეყნების სამხედრო კავშირის ერთიანობა და შეკავშირება.

საერთაშორისო განვითარება ბოლო მეოთხედ საუკუნეში და კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე სახიათი ადასტურებენ, რომ იმპერიალიზმის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები კვლავ გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ისტორიული პროცესის განვითარებაზე. ვ. ულბრიხტმა მოიყვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ბაქოში ნათქვამი სიტყვები, რომ არც ერთი წუთით არ უნდა ვივიწყებდეთ აგრესიული იმპერიალისტური ძალების აქტივობას, მტად ფხიზლად უნდა ვიყოთ და მუდამ ვზრუნავდეთ საიმედო თავდაცვისათვის.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ დადებითი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებას, და განაცხადა, მისი რატიფიკაცია მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების ინტერესების შესაბამისი იქნებაო.

აღნიშნა რა მოძმე ქვეყნების ჯარების საბრძოლო მომზადების მაღალი დონე, ვ. ულბრიხტმა თქვა, რომ ხალხის ხელში იარაღი სოციალისტურ მონაპოვართა დაცვას ემსახურება. მან მადლობა გადაუხადა ვრთნის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხები მეგობრულ ურთიერთობაში, ამყამად ძალიან ძნელი იქნება ორ ქვეყანას შორის არსებული დიდი უთანხმოების აღმოფხვრა“.

„ნიხრონ კეიძაი“

„ვაშინგტონი კვლავ ძლიერ ზეგავლენას ახდენს იაპონიაზე, რათა დაიყოლიოს დათმობაზე იაპონიის საფეიქრო ნაწარმის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპორტის საკითხზე წამოჭრილ კონფლიქტთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ამერიკის დედაქალაქიდან მიღებულია ულტიმატუმური ხასიათის წერილი“.

უცხოური პრესის ფურცლებზე

კომენტარი • ქრონიკა

„ლუმანიტე“

„საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებით. ასეთი მშვიდობა დიდი ხანია დამყარდებოდა, ისრაელის ხელმძღვანელები რომ ამერიკელი იმპერიალისტების ხელშეწყობით არ უწევდნენ საბოტაჟს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ნორმალიზაციის ყოველ ღონისძიებას“.

„ბლოს კრაცი“

„დიდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამსახურება მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მაგრამ დადებითი შედეგები როდი მოჰყვა ორგანიზაციის ყველა ღონისძიებას, რომლებზეც ხშირად დიდ იმედებს ამყარებდნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება“.

„მონდი“

„გამოთქმული იყო სურვილი ჟ. პომპიდუს ვიზიტი ყოფილიყო ახალი პოლიტიკური ეტაპის დასაწყისი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში, და ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ასეთი შედეგისათვის მიეღწიათ“.

„ტაიმსი“

„ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების საბჭოთა გეგმა შეიძლება გახდეს ამოსავალი პუნქტი შემდგომი მოლაპარაკებისათვის“.

„ნატოს ხელმძღვანელობას აწუხებს ის, რომ ამ სამხედრო ბლოკის მონაწილე მთელ რიგ ქვეყნებს არ სურთ ატარონ ნატოს ძლიერების შემდგომი გადიდების ხარჯების მძიმე ტვირთი“.

„ვაშინგტონ პოსტი“

„სატომ ცივი წყალი გადასხა იმ იმედებს, რომ მომავალ კვირაში პრეზიდენტ ნიქსონთან შეხვედრის დროს შეძლებენ შეანელონ დაძაბულობა ამერიკა-იაპონიის ეკონომიურ ურთიერთობაში, ამყამად ძალიან ძნელი იქნება ორ ქვეყანას შორის არსებული დიდი უთანხმოების აღმოფხვრა“.

დიდი გულისწყრომა

საბჭოთა ადამიანებმა დიდი გულისწყრომით შეიტყვეს „ან-24“ სამგზავრო თვითმფრინავის ეკიპაჟზე ორი ბანდიტის თავდასხმის, ბორტგამყოლის ნადეედა კურჩენკოს მკვლელობის ამბავი.

საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ ბანდიტების გადმოცემას

დღემდე ორივე ბანდიტი — კორეიკო და მისი შვილი თურქეთში არიან. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ თურქეთის ხელისუფალთ სთხოვა გადაეცათ მკვლელები საბჭოთა სასამართლოსათვის.

ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის წერილები და დეპეშები, რომლებშიც სამართლიანი მოთხოვნაა: „ბანდიტებმა პასუხი უნდა აგონ! არ შეიძლება არ დაისჯონ ისინი, ვინც საზიზღარი მკვლელობა ჩადიხან, ვისი ხელიც სისხლით არის დასვრილი“.

საბჭოთა მშრომელები სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამენ ამ ბანდიტური თავდასხმის გამო:

სრულიად საკავშირო ალკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. შახმანოვი:

— ბორტგამყოლის ნადეედა კურჩენკოს გმირობა იცის დედაქალაქის ყველა ქალიშვილმა და ვაჟუკმა. იგი დაიღუპა ბრძოლაში ბანდიტებთან, რომლებმაც „ან-24“ საბჭოთა თვითმფრინავი მოიტაცეს. ვერაგი ადამიანის ხელით შეწყდა შესანშშავი კომკავშირელის, მშვენიერი ადამიანის სიცოცხლე. ნადია კურჩენკოს სახელს არასოდეს არ დავივიწყებთ.

ენით გამოუთქმელია მოსკოველი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების გულისწყრომის მთელი ძალა. ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გადმოგვცეს დამნაშავენი, რათა ისინი საბჭოთა სამართალში მივცეთ. საზიზღარი მკვლელები უნდა დაისჯონ!

აკადემიკოსი ვ. პარინი:

— დღეს უკვე ვიცით იმათი სახელები, ვინც 15 ოქტომბერს ბანდიტურად თავს დაესხა „ან-24“ საბჭოთა თვითმფრინავს. მაქინატორი, ქურდი და სპეციალური ყორეიკო და მისი შვილი ჰაერის მეკობრენი, ბანდიტები და მკვლელები გახდნენ. ახლა ისინი აცხადებენ, რომ ეს ჩაიდინეს „თავისუფლებისათვის“. როგორი თავისუფლებისა და რისთვის? იმისათვის, რომ მშვიდად ხარჯონ მოპარული ფული და დაუსჯელად ჩადიონონ ახალი დანაშაულობანი?

ისეთ ხალხს, როგორიც კორეიკოა, არავინ არ შეიბრალებს. მოსკოველები მოითხოვენ ბანდიტებისა და მკვლელების გადმოცემას. დამნაშავეები უნდა წარსდგნენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე და მკაცრად დაისჯონ!

სამოქალაქო ავიაციის სამხედროს სამმართველოს „ილ-18“ ხომალდის მეთაური, წითელი დროშის ორდენის კავალერი ე. ბაბუშინიანი:

სიტყვა ვერ მომიძებნია, რომ გამოვთქვა ის გულისწყრომა, რომელიც მე და ჩემს ამხანაგებს დაგვეუფლა, როცა შევიტყეთ, რომ 15 ოქტომბერს ბათუმ-სოხუმის რეისის დროს ბანდიტურად თავს დაესხნენ საბჭოთა თვითმფრინავს.

ბანდიტებმა საფრთხეში ჩააგდეს ათობით მგზავრის სიცოცხლე. მათ გაბედულად აღუდგნენ წინ კომკავშირელი ნადია კურჩენკო და ხომალდის მეთაური გიორგი ჭახრაკაია, შტურმანი ვალერი ფადეევი. უსაზღვროდ ვამაყობთ ჩვენი ამხანაგებით, რომლებმაც გადამწყვეტ წუთში გამოიჩინეს სიმტკიცე და ვაჟკაცობა.

ბანდიტები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდნენ. მათ დაღვარეს საბჭოთა ადამიანების სისხლი, ჩაიდინეს უმძიმესი სისხლისსამართლის დანაშაული. ბანდიტები უნდა წარდგნენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე!

* * *

1961 წელს ე. ბაბუშინიანს, რომელიც ოთხდგილიანი „იაკ-12“ თვითმფრინავით აფრინდა, თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბანდიტი. ისინი იარაღით დაემუქრნენ და მოითხოვდნენ თვითმფრინავის გადაყვანას საზღვარგარეთ.

მძიმედ დაჭრილმა პილოტმა გამოიჩინა დიდი ვაჟკაცობა. გმირობისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. (საკდესი).

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. სოფურაშვილი:

— რადგან და გაზეთებმა აღმაშფოთოვანი ამბავი გვაუწყეს. „ან-24“ საბჭოთა თვითმფრინავს ბანდიტურად დაესხნენ თავს, მოკლეს 19 წლის ბორტგამყოლი ნადეედა კურჩენკო. გასროლამ, რომელმაც განგმირა ნადია, იგი უკვდავი გახადა. ჩაება რა უთანასწორო ბრძოლაში, ბანდიტებთან, მან გმირობა ჩაადინა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ მკვლელები საკადრისად დაისჯებიან. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ისინი დაუყოვნებლივ გადმოსცენ საბჭოთა კავშირს მკაცრ პასუხისგებაში მისაცემად.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. კობაძე:

მშვიდობიანი მიწის მშვიდობიანცაში მტრის ტყვიამ განგმირა ადამიანი, დაიღუპა კიდევ ორი კაცის სისხლი. როცა ომი მძვინვარებს და გარშემო ჭეშვები სკდება, ადამიანთა სიკვდილი ამდენად უბრალო არ არის. სამშობლოს დაცვის დროს დაიღუპა ჩემი ოთხი ძმაც, რომლებთანაც ერთად ფრონტზე წავედი ორმოცდაერთში. მაგრამ 19 წლის კომკავშირელის ნადეედა კურჩენკოს სიკვდილი, რომელიც დაიღუპა სამშობლოს მოღალატის ტყვიით, — რა შეიძლება იყოს ამ სიკვდილზე ტრაგიკული და უაზრო? ამ ამბავმა ადაშფოთა ჩვენი კოლმეურნეები. ისინი გადაწერით მოითხოვენ დანაშაულთა გადმოცემას და მათს გასამართლებას საბჭოთა სასამართლოს მიერ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ო. მარგველაშვილი.

— ძალიან გვეწყინება ნორჩი წადია, რომელსაც კიდევ რამდენი რამ უნდა შეეცნო და გაეკეთებინა ცხოვრებაში. მან თავი გასწირა ამხანაგებისათვის, უცნობი, მგზავრამ სულით მისთვის ახლობელი საბჭოთა ადამიანებისათვის, თავისი სამშობლოს ღირსეებისათვის.. არც კი დაფიქრებულა, ისე გასწირა სიცოცხლე მათთვის. ამიტომ განსაკუთრებით გვეწყინება და გვწყინს, რომ ასეთი შესანშნავი და წმინდა ადამიანი გახდა საზიზღარი და ვირაჟი მკვლელების მსხვერპლი მშვიდობიან დღეებში. მკვლელები ვერსად ვერ წაუვლენ სასჯელს. და არც უნდა ეპატიოთ მათ. ისინი უნდა გავასამართლოთ ჩვენნ, საბჭოთა კანონებით. მე, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მოვითხოვ, რომ თურქეთის ხელისუფლებამ გადასცენ ვერაგი მკვლელები საბჭოთა მართლმსაჯულებას. (საკდესი).

კაირო ანვარ სადათის განცხადება

კაირო. 19 ოქტომბერი. (საკდესი). „ჩვენს წინაშე დასახულია დიდი და ძნელი ამოცანა, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ხალხისა და არმიის ერთიანობა, რომელიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა გამალ აბდელ ნასერმა“, — განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა თავის პირველ ოფიციალურ მიმართვაში ქვეყნის მოსახლეობისადმი, რომელიც გუშინ რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს.

შეეხო რა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგებს, ანვარ სადათმა გამოთქვა კმაყოფილება იმ ფაქტის გამო, რომ კენჭისყრაში მონაწილე 6 მილიონზე მეტმა კაცმა მტკიცედ დაუჭირა მხარი გამალ აბდელ ნასერის პოლიტიკური კურსის განგრძობას.

ანვარ სადათმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა ამომრჩეველს და პირობა მისცა, რომ ყოველ ღონეს იხმარს ხალხის ნდობის გამართლებლად.

ანვარ სადათმა შეკავშირებისათვის მოუწოდა ერს.

ბეირუთი ინციდენტი იორდანიაში

ბეირუთი. 19 ოქტომბერი. (საკდესი). იორდანიიდან მიღებული ცნობებით, 18 ოქტომბერს ამ ქვეყნის ჩრდილოეთში, ალ-მუაპიერის, ალ-აალის, ბეით-რაფისა და აშ-შაჯარის სოფლების რაიონში მოხდა პალესტინელი პარტიზანებისა და იორდანიის არმიის ნაწილების შეიარაღებული შეტაკებანი.

როგორც აქ განაცხადა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელმა, იორდანიის ჯარებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს, შემდეგ კი შეუტიეს პალესტინელ პარტიზანთა ბაზებს ამ რაიონში.

თავის მხრივ, იორდანიის არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, პარტიზანებმა პირველმა დაუშინეს ცეცხლი იორდანიის ჯარის ამ რაიონში დისლოცირებულ ნაწილებსო.

ინციდენტის ადგილზე ჩავიდნენ იორდანიაში მდგომარეობის მომწესრიგებელი არაბთა სახელმწიფოების სპეციალური კომიტეტის წარმომადგენლები, რომელთა ჩარევის შედეგად სროლა შეწყდა.

ოტავა მდგომარეობა კანადაში

ოტავა. 19 ოქტომბერს კვებეკის პროვინციის შრომის მინისტრი პიერ ლაპორტი, რომელიც ამას წინათ მოიტაცეს სეპარატისტული ორგანიზაციის „კვებეკის განთავისუფლების ფრონტის“ წევრებმა, 18 ოქტომბერს მკვდარი იპოვეს მონრეალში, აეროპორტ სენტ-ჰიუბერტის რაიონში.

მეორე მძევალი — ინგლისის სავაჭრო მისიის თანამშრომელი ჯ. კროსი ბედი ჯერჯერობით უცნობია. სანფორმაციო საგანგებო ბიუროს ცნობით, ოფიციალურად დაუდასტურებელი ცნობის თანახმად, ისიც მოკლულია.

კვებეკის პროვინციის მთავრობა, იმისათვის, რომ ეხსნა პ. ლაპორტი და ჯ. კროსი, დათანხმდა დაეკმაყოფილებინა სეპარატისტების მოთხოვნების ნაწილი, მაგრამ სეპარატისტები ამან ვერ დააკმაყოფილა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, შექმნილი მდგომარეობის გამო კანადის მთავრობამ ამოქმედა „ომის დროის ღონისძიებათა კანონი“. ორგანიზაცია „კვებეკის განთავისუფლების ფრონტი“ გამოცხადებულია კანონგარეშედ.

ოტავა. 19 ოქტომბერი. (საკდესი). კანადაში კვლავ დაძაბულია მდგომარეობა. პრემიერ-მინისტრი ტრუდო ვერტმფრინავით ჩავიდა მონრეალში, რათა კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრთან რ. ბურასასთან ერთად განიხილოს შექმნილი მდგომარეობა.

პოლიციის ავტომანქანები განუწყვეტლივ პატრულობენ ქუჩებს. მონრეალში მიმავალ გზებზე დაყენებულია პოლიციის საგუშაგოები. ამოწმებენ და აღრიცხავენ ყველა ავტომანქანასა და მგზავრს.

ვაშინგტონი საიდუმლო გზავნილი „ფანტომებს“

ვაშინგტონი. 19 ოქტომბერი. (საკდესი). ამოწმებს რა ინფორმირებულ წყაროებს, ვაშინგტონის გაზეთი „სტარი“ იუწყება, რომ ამ ბოლო სამი კვირის მანძილზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსის თადარიგის მფრინავებმა საიდუმლოდ ჩაიყვანეს ისრაელში „ფ-4-ფანტომის“ ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები. გაზეთი არ აღნიშნავს, იმას, თუ რამდენი თვითმფრინავი გაგზავნეს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს თვითმფრინავები ისრაელს ნიუჯერსეის იმ 50 „ფანტომის“ დამატებით, რომელთა გაგზავნა იკისრა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინათ დადებული შეთანხმებებით.

როგორც „სტარი“ იუწყება, ისრაელში თვითმფრინავების საიდუმლოდ გაგზავნაში დასაქმებული მფრინავები მოქმედებენ „სამოქალაქო პილოტების“ ნიღბით. ისინი თვითმფრინავებს იღებენ სენტლუისის (მისურის შტატი) „მაკდონელ დუგლასის“ ქარხანაში, მიჰყავთ ერთ-ერთ სამხედრო-საჰაერო ბაზაში ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე და შემდეგ მიფრინავენ აზორის კუნძულებზე, იმასთან სწავლის იმართავენ ფრენის დროს ამერიკის სამხედრო ბენზინგამწყობებისაგან.

აზორის კუნძულებიდან თვითმფრინავებს აზავნიან კვიპროსში, სადაც ამერიკის საკონო ნიშნებს აცვამენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ყვითელ ჩასაფრებულ“ ტანსაცმელს და ნიუიორკში ბრუნდებიან ისრაელის სამგზავრო თვითმფრინავებით.

ამისათვის, რომ საიდუმლოდ შეინახონ ეს ოპერაცია,—წერს გაზეთი, — თადარიგის პილოტებისაგან არ მოითხოვენ შეავსონ ჩვეულებრივი უწყებანი თავიანთი შტაბებისათვის, რომ ტოვებენ ქვეყნის საზღვრებს.

ეკონომიური და სოციალური აღმავლობისათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური კასამბლეის საიუბილეო სესია

ნიუ-იორკი. 19 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის პლენარულ სხდომაზე განიხილა მეორე კომიტეტის მოხსენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების მეორე ათწლეულის შესახებ.

მოხსენებასთან ერთად წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტში კომიტეტი ურჩევს გენერალურ ასამბლეას გამოაცხადოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების მეორე ათწლეული 1971 წლის 1 იანვრიდან და დაამტკიცოს სტრატეგია საერთაშორისო განვითარებისა ამ ათწლეულისათვის.

კომიტეტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პირველი ათწლეული, რომელიც 1961 წელს დაიწყო, აღინიშნა არსებითი ღონისძიებებით, რომლებიც განხორციელდა საერთაშორისო მასშტაბით საჯარო დაპირებების კონკრეტული შინაარსით შევსების მიზნით. მაგრამ, აღნიშნულია მოხსენებაში, მიუხედავად კონკრეტული ღონისძიებებისა ეკონომიური პროგრესის ინტენსივობისათვის, რომლებიც განხორციელდა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ისე ცალკეული სახელმწიფოების მიერ, მრავალი მილიონი ადამიანის ცხოვრების დონე მსოფლიოს განვითარებულ რაიონებში კვლავ ფრიად დაბალია. ეს ადამიანები ხშირად მოკლებული არიან საჭმელ-სასმელს, უფიანური არიან, არა აქვთ სამუშაო და მოკლებული არიან ცხოვრების სხვა ელემენტარულ პირობებს. მაშინ როცა მსოფლიოს მოსახლეობის ნაწილი შეძლებულად და სიუხვის პირობებშიც კი ცხოვრობს, მოსახლეობის მნიშვნელოვანდიდი ნაწილი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის, ეს უთანასწორობა სულ უფრო ღრმავდება.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების მეორე ათწლეულის მსვლელობაში განვითარებადი ქვეყნების მოლიანი პროდუქტის ზრდის საშუალო წლიური ტემპი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 6 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — დაახლოებით 3,5 პროცენტს.

იმ კომიტეტის წინადადებით, რომელმაც შეადგინა მოხსენება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების მეორე ათწლეული საჯაროდ გამოცხადდება 24 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 25 წლისთავის დღეს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სხდომაზე.

ფაქტები

საბჭოთა კოსმონავტები ამერიკაში

□ **ნიუ-იორკი. 19 ოქტომბერი (საკდესი).** საბჭოთა კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი გუშინ ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ. კენედის აეროპორტში მათ დახვდნენ ამერიკელი კოსმონავტები ნილ არმსტრონგი და ედვინ ოლდრინი. სტუმრები 10 დღეს დაჰყოფენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. წინასწარ პროგრამაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, შედის კენედის კოსმოსის ცენტრის, ჰიუსტონის მართული კოსმოსური ფრენის ცენტრის, ქალაქების ლოს-ანჯელესის, სან-ფრანცისკოს დათვალიერება და სხვ.

გუშინ საბჭოთა კოსმონავტები ვაშინგტონში გაფრინდნენ.

შტატის ახალი მთავრობა

● **დელი. 19 ოქტომბერი. (საკდესი).** ინდოეთის უტარ პრადეშის უდიდეს შტატში ვუშინ შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს მემარჯვენე პარტიების საპარლამენტო ბლოკის ლიდერი ტ. ნ. სინგჰი. შტატის ახალი მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით ინდოეთის პრეზიდენტ მ ვ. ვ. გირის ხელი მოაწერა ბრძანებულებას 2 ოქტომბერს უტარ პრადეშის შტატში შემოღებული საპრეზიდენტო მართვა-გამგეობის გაუქმების შესახებ.

კონტრაქტი პარაფირებულია

● **ლაგოსი, 19 ოქტომბერი. (საკდესი).** ნიგერიის დედაქალაქში პარაფირებულია სსრ კავშირისა და ნიგერიის კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ მომავალი მეტალურგიული მრეწველობისათვის ნედლეულის ძიების მიზნით აფრიკის ამ უდიდეს ქვეყანაში საბჭოთა სპეციალისტებმა აწარმოონ გეოლოგიური საძებნელები. კვლევა გათვალისწინებულია ხუთი წლისათვის.

გრიპი დელიში

● **დელი. 19 ოქტომბერი. (საკდესი).** ინდოეთის დედაქალაქი მოიცვა გრიპის ეპიდემიამ. როგორც გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ იუწყება, გრიპით ავად არის დელის მთელი მოსახლეობის დაახლოებით მესამედი. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახორციელებს ეპიდემიის ლიკვიდაციის საგანგებო ღონისძიებებს.

ქოლერის ეპიდემია

● **სტამბოლი, 19 ოქტომბერი. (საკდესი).** 50-ზე მეტი კაცი დაიხოცა სტამბოლში ქოლერის ეპიდემიის შედეგად, რომელიც აქ გავრცელდა. ქოლერის დაავადების შემთხვევები, როგორც თურქეთის პრესა წერს, აღნიშნულია აგრეთვე სამსუნში, ჩანაკალესა და იზმირში.

ფაქტები

სრულიად სერიოზულად

საპნიჭამია... და სხვები

ნიუ-იორკელ მისტერ ვინსენტ პატერსონს ხუთი ათასი კატა უხსნია სიკვდილისაგან, და ამის გამო ხშირად საკუთარი სიცოცხლეს საფრთხეშიც კი ჩაუდგია. მას განწირული კატები გამოუყვანია ქალაქის კანალიზაციის მილებიდან, აფოფინებიყო ცოთამშჯენების კარნიზებზე, პირველი შეეგრძნია ალმოდებული სახლში და უკანასკნელს ფიზად დაუტოვებია იგი, სანამ ჩაინგრეოდა. მაგრამ არ გვიკვირდეთ, რომ მისტერ პატერსონი ყველაფერ ამას ცხოველების სიყვარულით სჩადიოდეს. სულაც არა, პატერსონი ინსპექტორია, „ცხოველების დაცვის კავშირში“ კატების უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებულ საქმის განაგებს.

თუ ოდესმე კაცობრიობას აზრად მოუვა, რომ პროფესიების ინვენტარიზაცია მოახდინოს, მაშინ უდაოა ამა თუ იმ საქმიანობის ერთადერთი წარმომადგენლის ადგილზე პირადი აღნიშვნის ყველაზე მეტი შანსი მისტერ პატერსონს ერგება.

კიდევ უფრო უჩვეულო ხელობას მისდევს ნორბერტ ჩინი, რომელიც მინესოტის შტატის ქალაქ სენტ-პოლში ცხოვრობს. იგი „საპნიჭამიაა“, სიამოვნებით ღეჭავს საპონს, რომ მასში აუცილებელი ტუტეს გამო განსაზღვროს.

ლონდონის წყლის გამწმენდ საადგურებს სპეციალურ სამსახურში ჰყავთ ვინმე დონალდ სტორჯერსი, რომელიც წყალს გამოს ღიაში სამოცჯერ ესინჯავს. მისი პროფესიული მოსაზრებით წყლის გემო ჩვიდმეტი ძირითადი ჯგუფისაა: „მწარეს“, „მდოგვის“, „ციტრის“, „დამპალი კომბოსტოს“, „დამპალი ყვლის“ და ა. შ. სტორჯერსი თავისი პროფესიით ძმაყოფილია, მაგრამ პირად ცხოვრებაში ბედი არ სწყალობს: ვინმესთან ერთად ჩაიც კი ვერ დამლეგია, — ჩიგის თავის მარტოობას.

შოონსჭრენების ოჯახმა სახელი გაითქვა ჰოლანდიის ქალაქ ედამში, იმ ქალაქში, სადაც სიფათისა ედამის ყველა მზადდება. მერე არ იკითხავთ, რით ფრის ცნობილი ამ ოჯახის ყველა წევრი, დიდი თუ პატარა? ისინი მაღალკალორიული „ყვლის მსმენელები“ არიან. თორმეტ ჯერ კიდევ შოონსჭრენების პაპის პაპა ოკაკუნებდა თითს ყვლის და ოსმენდა. ამასვე აკეთებენ მისი შვილთაშვილებიც, კაკუნის ხმაზე უშეცდომოდ გამოიცნობენ მის სიძველეს, ხარისხს. თუმცაღა, შოონჭრენები ამ საქმეში მარტონი როდი არიან, ისინი უბრალოდ ყველას სჯობნიან, სახელიც ამიტომ გაითქვეს და ოჯახიც შეძლებულად ცხოვრობს.

ამერიკელი ქალი მადონნ ლი ფეიათი პროფესიონალ ორიგინალურად შტოს წარმომადგენელია. მადონნი ტალიოლა და ლრიალის მიბაძვის სპეციალისტია. მართლაც, ძალიან რთული საქმეა ყოველთვის მოძებნო ჩვილი ბავშვები, როცა რადიოპიესის მსვლელობის დროს აუცილებელია საამოდ რიბიანი ღონავლი ან სასოწარკვეთილი ღრიალი. სამაგიეროდ ყველის მაგიერად მადონნი ღონავის და ღრიალებს. მაგრამ საკმარისია ჩვეულებრივი საჩხაკუნო აჩვენოთ, რომ სახარულისაგან ისეთ ხარხარს ატეხს, ალბათ ყველა ჩვილ ბავშვს შეშურდებოდა.

სტოკჰოლმელი ჰელგა ნიოსტრომი სულ სხვა საქმიანობას ეწევა, რომელსაც ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჰელგა ნიოსტრომი ჩინებოლად ყიფლს, ოცი სხვადასხვა ჯიშის ძაღლებს მაძავს. კანონის გულისათვის ყიფლს ქუჩაში, სახლების წინ, სადაც, მისი იქვით, საინანსო ორგანოებისა და გადასახადებისგან თავისულად ძაღლებს ინახავენ. თუ პასუხს მიიღებს, მისამართს იწერს და თავის უფროსებს ძალევს საგადასახადო ინსპექციაში...

ინსპექტორმა პატერსონმა თავისი კეთილშობილური მოღვაწეობის ათი წლის იუბილეს რომ აღნიშნავ, „ცხოველების დაცვის კავშირის“ ხელმძღვანელობამ მას მშვენიერი ანგორული ფისო აჩუქა.

— არა, არა, — წამოიძახა ინსპექტორმა, — ნუ მომიკვლიმ, თორემ ერთი წუთითაც ვერ მოვისვენებ! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი უბედური შემთხვევა შეიძლება მოუვიდეს მას!..



15-20 ოქტომბერი
იტალიური კულტურის კვირეული საქართველოს კავშირში
НЕДЕЛЯ ИТАЛЬЯНСКОЙ КУЛЬТУРЫ В СССР
SETIMANA DELLA CULTURA ITALIANA NELL'URSS
1970

იტალიელები ეცნობიან საქართველოს

მეგობროგისა და ძმოგის განმამტკიცებელი შეხვედრები

მეოთხე დღეა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს იტალიური კულტურის კვირეული. იტალიელი მეგობრები ყველგან სასურველი სტუმრები არიან, მათთვის ღიაა ყოველი ქართველის გული. ქართველი ერი ყველგან მეგობრულად მასპინძლობს იტალიის წარმომადგენლებს. სიყვარულითა და ძმური გრძნობით ხვდება ქართულ მიწა-წყალზე.

გასულ კვირა დღეს „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაცია სიღნაღში იყო. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ იტალიის მწერალთა სინდიკატის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი ლიტერატორი, სენატორი ფრანკო ანტონიჩელი (დელეგაციის მეთაური), სენატის განათლებისა და სახვითი ხელოვნების კომისიის წევრი სენატორი რიპარდო რომანენ, ქალაქ პალერმოს სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექტორი პროფესორი ვინჩენცო ტუზი და სიცილიის ტურიზმის სამმართველოს დამინისტრაციული საბჭოს წევრი პროფესორი ენ�o სელერიერ.

კახეთის მადლიანი მიწა... ახლა განსაკუთრებით ლამაზია აქაურობა. შემოდგომის ფერებს კიდევ უფრო დაუმშვენებია ეს მშვენიერი კუთხე. მიწყდა შრომა და სიმღერები ვენახებში; ქართველმა გლეხმა მოითავა რთველი.

ქვევრებში დუღს კახური მაჭარი — სტუმართმოყვარე მწრმელი კაცის სიამაყე...

სიღნაღის რაიონი სამშობლოა ფორე მოსულიშვილისა — რომელმაც ვაჟკაცურად შესწირა სიცოცხლე ფაშისტური უღლისაგან იტალიის განთავისუფლებას. იგი დაჯილდოებულია იტალიის უმაღლესი მხედრული ორდენით და გამოცხადებულია ეროვნულ გმირად. და აი სიღნაღისა და მისი სანახების მცხოვრებლებმა, რომლებიც ამაყობენ თავიანთი მამაცი თანამემამულით, მიიღეს იტალიელები, ისინი, რომელთა სამშობლოს თავისუფლებასაც უყოყმანოდ შესწირა სიცოცხლე ქართველმა ჭაბუკმა...

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი დ. გულაშვილი სტუმრებს ესაუბრა სიღნაღელთა შრომითს საქმეებზე, იმაზე, თუ როგორ აყვავდა ეს რაიონი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. იტალიის დელეგაციის სახელით მისმა მეთაურმა ფრანკო ანტონიჩელიმ მადლობა გადაუხადა რაიონის ხელმძღვანელობას გულთბილი და მეგობრული მასპინძლობისათვის.

— ჩვენ განსაკუთრებით გვეამება, — თქვა მან, — სიღნაღში, ფორე მოსულიშვილის სამშობლოში ჩამოსვლა, რომლის სახელი ოქრის ასოებით ჩაიწერა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. ეს ახალგაზრდა ქართველი თანაბრად გვეკუთვნის ჩვენც და თქვენც. გმადლობთ ქართველო დედავ, რომ ასეთი ვაჟკაცი გამოზარდე! გმადლობთ ქართველო ერო იმ აღერსისა და სითბოსათვის, რომელიც ფრთებს ასხამს ჩვენს მეგობრობას!

იტალიელი სტუმრები იყვნენ სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში, დაათვალიერეს რაიონული უნივერმაგი, „სანტანელა“ ბაზა, ეწვივნენ ბოდბისა და ალაზანდარის ველზე, ეწვივნენ ალაზანდარის ველზე, ეწვივნენ ალაზანდარის ველზე, ეწვივნენ